№ 602 შაბათი, 8 აგვისტო. 1896—1898 შაბათი, 8 აგვისტო № 602

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

## სახალხო თეატრი

მიხეილოვის ქუჩაზედ საზაფხულო თეატრი მადერის ბაღში (იუნკრების სასწავლებლის პირდაპირ) კვირას, 9 აგვისტოს, ზ. მ. საფაროვი სცენის მოყვარეთა დახმარებით გამართავს წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება

I

### მზის დაბნელება საქართველოში

ნამდვილი კომედია სამს მოქ. ანტონოვისა.

### დივერტისმენტი ლეკური

დასასრულ იქნება ნაჩვენები დჟონ მარისისაგან, სინემატოგრაფიული ლიუმერისა ბუნდოვანი სურათები.

ადგილების ფასი: 10 კაპ. მანეთ ნახევრამდი

დასაწყისი $9^1/_2$ საათზედ.

## პანსიონი და სასწავლებელი
## ნ. დიდებულიძისა

გადავიდა ახალს სახლში, მიხეილის ქ. № 129, სადაც დებულობენ ყმაწვილებს მოსამზადებლად მეორე კლასამდინ და სრული ხარჯით პანსიონერებად. მორიგება შეიძლება პირათა და წერილით.
მოლაპარაკება შეიძლება დილით 10—2 საათ. და საღამოთი 5—7 საათ.

## ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა".

ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.

ქარხანა იღებს შირიანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტალროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)

იაფად და ხმელის მასალისას.

ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.

მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.

პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის" ამხანაგობისა
ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—23)

## ВИНОГРАДНЫЕ ПРЕССЫ
трехъ величинъ
и
## ВИНОГРАДНЫЯ МЯЛКИ
продаетъ торговый домъ
С. П. Павловъ и К°
Тифлиъ. Лорисъ-Меликовская улица № 6. Телефонъ № 349.

### პრესები ყურძნის დასაჭყლეტად
სამი ნაირის ზომისა
იყიდება ს. პ. პავლოვისა და ამხ.
### სავაჭრო სახლში
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.
ტელეფონი № 349. ტელეფონი № 349.
(15—3)

## შპალერების საწყობი
## ი. გ. მელიქიშვილისა
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

### Депо обоевъ
## І. Г. МЕЛИКОВА
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 36)

## ექიმი
### კ. ი. გძელიშვილი
მ ი ი ღ ე ბ ს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.
Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки.
(100—36)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. გ. თოფურია. საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჲისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. გ. თოფურია.
Лѣчебница С. В. Тонурія въ Кутаисѣ.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

6 აგვისტო.

**პეტერბურგი.** 4 აგვისტოს გენერალ ლეიტენანტი, მიხეილ გრიგორის ძე ჩერნიაევი უეცრად გარდაიცვალა თავის საგვარეულო მამულში, ტუბიჟკში (მოგილევის მაზ). განზრახვა აქვთ დაასაფლავონ ადგილობრივ ეკკლესიაში.

**კიევი.** კიევის საგუბერნიო გამგეობის სახლში საჯაროდ გაიყიდა ბერდიჩევის მამული, რომელიც ეკუთვნოდა გრაფინა ტიშკევიჩსა და ვაქართ საპატიო მოქალაქეთ რუკავიშნიკოვთ. პირველ ვაჭრობაზე მუშტრებად გამოვიდნენ: საპოჟნიეოვი, მამონტოვი და რუკავიშნიკოვი. მამულის ერთი ნაწილი დაირჩინა რუკავიშნიკოვმა 296000 მანეთად. მეორე ვაჭრობაზე მეტოქედ გამოვიდა შაქრის ქარხნის პატრონი ეპშტეინი, რომელმაც შეაძლია 1.160,000 მან. რუკავიშნიოვებმა მიუმატეს 1,000 მან. და მამული მათ დაირჩინეს.

**მადრიდი.** კითხვა კორტესების მოწვევის შესახებ საბჭოს არ განუხილავს იმიტომ, რომ მინისტრები არ ეთანხმებიან საგასტას აზრს და გადასწყვიტეს კრიზისის გამოწვევა.

**პარიზი.** მადრიდიდან დეპეშით იუწყებიან, რომ მთავრობა წინადადებას მისცემს ბლანკოს და სხვა გენერლებს ანტილის კუნძულებზე დარჩნენ თავიანთ ადგილებზე, სანამ ჯარს გაიყვანდნენ კუნძულებიდან. მანილიისაგან იარაღის დაყრის ამბავი მთავრობამ თითქო უკვე იცოდა. გუშინ აუგუსტის ნება მიეცა დასტოვოს თავისი ადგილი, და იგი მაშინვე გამობრუნდება ისპანიაში. მანილიამ იარაღი იმიტომ დაჰყარა, რომ იქ სურსათი აღარ ჰქონდათ. ამერიკელებმა დიდი ზომები მიიღეს იმის გასაფრთხილებლად, რომ მეამბოხენი ვერ ჩარეულიყვნენ იარაღის დაყრის საქმეში და ვერ მისულიყვნენ მანილიასთან. ჟურნალ-გაზეთობა შიშობს, ვაი თუ იარაღის დაყრამ ისპანიას ხელი შეუშალოს მოლაპარაკების საქმეში, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ფილიპინის კუნძულების ბედი.

**მადრიდი.** მთავრობამ ნება დართო კუბასა, პორტორიკოსა და ფილიპინის კუნძულზე მყოფ გენერლებს სამსახურიდან გამოსვლა. ამბობენ პალატა 3 სექტემბერს გაიხსნებაო.

# ახალი ამბავი

*** **სამაზრო წიგნთ საცავების შესახებ.** ტფილისის გუბერნატორმა მისწერა მაზრის უფროსებს, წინადადება მიეცით იმ პირთ, რომელნიც ინახავენ მაზრებში წიგნთსაცავებს, წარმოადგინონ წესდებანი ანუ წესები თავიანთ წიგნთ-საცავებისა; ამასთან იმ პირთ, რომელნიც ინახავენ საგუბერნიო მთავრობის მიერ დამტკიცებულ წესდების ანუ წესების ძალით, მიეცით წინადადება წარმოადგინონ ამ წესების პირი; ხოლო იმ წიგნთ-საცავების პატრონებმა, რომლებიც დაარსებულნი არიან გუბერნატორის ნება-რთვით მხოლოდ, წესდებისა ანუ წესების დაუმტკიცებლად, შეადგინონ წესები, რომლებითაც უნდა განისაზღვროს სამკითხველოს დანიშნულება და მითი სარგებლობის პირობები, იმის ჩვენებით თუ სად იმყოფება წიგნთ-საცავი, რა საშუალებით არის დაარსებული და რით არის უზრუნველ-ყოფილი მისი არსებობა.

*** **წარმოდგენის გადადება.** ქართული სახალხო წარმოდგენა, რომელიც დანიშნული იყო მადერის საზაფხულო თეატრში 7 აგვისტოს, გადადებულ იქმნა კვირისათვის (9 აგვ.).

*** **ყაჩაღის შეპყრობა.** ბოქაულმა თავ. დ. ვაჩნაძემ შეიპყრო სოფ, აფატლაში (შუშის მაზ.) ყველაზე უფრო თავზე ხელ-აღებული და საზარელი ყაჩაღი ალალარ-ბეგ-ჰუსეინ-კული-ბეგ-ოღლი, რომელიც უკანასკნელ დრომდე სპარსეთში იმალებოდა და ამას წინად ხელ ახლავ დაიწყო თარეშობა ფოსტის გზაზე სადგური კარვენდსა და აგდამს შორის. ამ ყაჩაღის თავ-გასულობა იქამდე მიდიოდა, რომ, თუ სადმე შეხვდებოდა ქალებს, გახდიდა და წაართმევდა არა მარტო ზედა ტანისამოსს, არამედ საცვალსაც კი.

*** **იჯარით გასაცემი ადგილები ქალაქში.** ტფილისის ქალაქის გამგეობის განკარგულებით, მე-7 განყოფილებაში, მნაცაკანის ხიდის მახლობლად მდებარე ადგილებიდან ქალაქის მიწის მზომელმა განაცალკევა და გამიჯნა 32 სამოსახლო ადგილი, სივრცით 80-დან 170 ოთხ-კუთხი საჟენი. ეს ადგილები გაიცემა იჯარით სახლების ასაგებად.

*** **სამსახურის თავის დანებება.** როგორც ისმის, ქ. ოზურგეთის 1-ლ განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს ს. ს. წულუკიძეს თხოვნა წარუდგენია, სამსახურიდან დამითხოვეთო.

*** **იარაღის აყრა.** ამ ჟამად იარაღს ჰყრიან მთელი აფხაზეთის მცხოვრებთ, — ყველას, განურჩევლად წოდებისა.

*** **მექარხნეთა გულკეთილობა.** ბაქოდან გაზ. „მშაკს“ სწერენ, რომ ინგლისის იმ აქციონერულ საზოგადოების მმართველმა, რომლის ნავთიან ადგილებს ამ დღეებში ცეცხლი მოეკიდა, გაუგზავნა დეპეშა საზოგადოების გამგეობას, სხვათა შორის, იმის შესახებაც, რომ ცეცხლმა იმსხვერპლა რამდენიმეე მუშაო. მალე მმართველმა მიიღო ლონდონიდან შემდეგი დეპეშა: „გამგეობა უცხადებს ღრმა მწუხარებას ცეცხლის მსხვერპლთა მშობლებს და გთხოვთ დაუყოვნებლივ გვაცნობოთ დაღუპულთა და საზოგადოთ დაშავებულთა ოჯახური მდგომარეობა. ჩვენ არ ძალ-გვიძს ზნეობრივად დავეხმაროთ მათ ოჯახებს გაჭირვებაში, მაგრამ მათი ნივთიერი მდგომმრეობა სავსებით უზრუნველ ყოფილ იქნება.“

*** **კურდღელაურის აგარაკის საქმე.** 4 აგვისტოს ტფილისის საგუბერნიო გამგეობას ჰქონდა სხდომა ქ. თელავის მიჯნების გამორკვევისა და ამ მიჯნებში კურდღელაურის აგარაკის მოქცევის შესახებ. ეს კითხვა აღძრა ერთმა მემამულემ, რომელმაც სთხოვა საგუბერნიო მთავრობას, მოაქციეთ ჩემი კურდღელაურის მამული ქ. თელავის მიჯნებშიო. საგუბერნიო გამგეობამ დაადგინა დაეკითხოს ქ. თელავის მმართველობას, თუ რა აზრის არის იგი აღნიშნულ შუამდგომლობის შესახებ და აგრეთვე მოეთხოვოს ცნობები ამ საგნის შესახებ თელავის მაზრის უფროსს. როგორც თელაველებს, ისე კურდღელაურელთ სურთ ასეთი შეერთება იმის გამო, რომ უკანასკნელნი ვერ სარგებლობენ ვერც სოფლის და ვერც ქალაქის ცხოვრების უპირატესობით („ტფ. ფურც.“).

*** **ამაოხრებელი სეტყვა.** „ნოვ. ობ.“-ს განჯიდან დეპეშით აუწყებენ, რომ მეტად ამაოხრებელი სეტყვა მოსულა განჯის გუბერნიაში. მარტო ქ. განჯაში ზარალი სეტყვისაგან უდრის 400,000 მან.

*** **მეეტლის თავგასულობა.** 3 აგვისტოს, დილის 11 საათზე „კრუჟოკის“ მახლობლად ერთს სოფლიდან ჩამოსულ ურემს წამოედო ეტლი. მეეტლემ მეურმესთან ბოდიშის მოხდის ნაცვლად, ხარს მათრახის ცემა დაუწყო. ბოლოს ლონივრად მოქნეული მათრახი, ხარის მაგივრად, მოხვდა ურემზე მჯდომ 8—9 წლის ყმაწვილს შუბლზე და ხელზე, რომელიც გაუჭრა, და სისხლი დაადინა. მეეტლემ გაარბენინა ეტლი, მაგრამ მეურმე სოფლელები გადმოუდგნენ მას, დაეწივნენ, გააჩერებინეს ეტლი და გადმოიღეს ძირს. მეეტლეს, რომელიც დაუზოგველად უშხაპუნებდა სოფლელებს, მოეშველნენ მალაკნები და შეიქნა საშინელი ცემა-ტყეპა. ქუჩის დარაჯი კი მაშინ მივიდა, როცა ყველას თავისი დაემართა.

*** **დ. სამტრედია. კეთილი განზრახვა.** როგორც გავიგეთ, ადგილობრივ ბოქაულს ბ-ნ ქელბაქიანს განზრახვა ჰქონია, რომ შეჰკრიბოს ადგილობრივი მცხოვრებლები და აუხსნას, თუ რამდენად სასარგებლო იქნება განხორციელდეს იმ წერილის აზრი, რომელიც „ცნ. ფურც.“-ის 244 №-ში იყო დაბეჭდილი აბრეშუმზე. ეს საგანი ბ-ნმა ვ. ივანდიდელმაც განმარტა ამავე გაზეთის 417 №-ში, რომელიც ავალებდა მღვდლებს, მასწავლებლებს და მამასახლისებს ზემოხსენებული წერილის განხორციელებას, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, ყურიც არავინ გაიბერტყა. ვუსურვებ ბ-ნ ქელბაქიანს, რომ ეს ყოვლად კეთილი განზრახვა სისრულეში მოეყვანოს, რომლითაც იქნებ მაშინ მაინც მოვიშოროთ ის ჩარჩ-ვაჭრები, რომლებიც ჩვენ ნაწარმოებსა და უმთავრეს ქარხნებს შუა ვარჯიშობენ და ჩვენს ნალვაწ-ნაოფლარს ნიორის ნაჩუჩალის ფასად ჰხდიან და თავიანთ ჯიბეს ისქელებენ.

ალექსანდრე მ—ვი

*** **ს. ჩიბათი** (გურია). **ისევ ჩვენი სოფლის აგ-კარგზე.** „ცნ. ფურც.“-ის 593 №-ში დაბეჭდილია ჩემი წერილის განმარტება ს. ჯორბენაძისა, რომელიც გაიძახის: ჩემს აქ ყოფნაში რა დამეწერა ისეთი, როცა შესამჩნევი არა მომხდარა-რაო. მართალსა ბრძანებს ბ-ნი ჯორბენაძე და მეც ვეთანხმები, რადგანაც მისთვის არაფერი არ არის შესამჩნევი. მან ვერც ის შეამჩნია, რომ დაეწერა აქაური მკითხავები და მატყუარა ექიმბაშები რა და რა გვარ საზიზღარ საქმეებს სჩადიან. მაგალითად: აქ სცხოვრობს ერთი მოვაჭრე გლეხი კ. ელ—შვილი, რომელსაც ივლისის დამლევს გაუცოფდა შვიდი წლის ბავშვი. გულის გამგმირავ სურათს წარმოადგენდა მწუხარე ბავშვი, ხოლო ცხვირ-პირ დამტვრეული მშობლები გაიძახოდნენ: „მარჩიელმა და ექიმმა მომიკლა ერთად-ერთი შვილიო“! აი საქმე როგორ ყოფილა: როცა ბავშვს ცოფიანმა უკბინა, მკითხავის რჩევით მიჰმართეს აქაურს ვითომ-და ექიმ დედაკაცს (რომელთა რიცხვი ჩვენში მრავალია); ამ უკანასკნელმაც მშობლები სრული დაიმე-

დებული გამოისტუმრა, რომ უსათუოდ მოგირჩენო, ხოლო ფულები წინდაწინ მომითვალეო. რასაკვირველია, ბავშვი არსად წააყვანინა საექიმოდ და უბედური კიდევაც გარდაიცვალა ცოფით. რასაკვირველია, ასეთი და უარესი შემთხვევები ათასობით მოხდა ჩვენში შემდეგ იმისა, რაც ბ. ჯორბენაძე მასწავლებლად მობრძანდა, მაგრამ მისთვის შესამჩნევი არაფერია.

რაც შეეხება სკოლის დაარსებას და სამკითხველოს გახსნის თხოვნას და სხვ., ამაში იმდენი შრომა მიუძღვის ბ-ნ ჯორბენაძეს, რამდენიც ვინმე გადამთიელს, ხოლო მეაბრეშუმეობა მას კარგ სარფას აძლევს.

მამასახლისის უმართებულო მოქმედებაც თვითონ უკეთ უწყის და ეგ მათი საიდუმლოება იყოს, ხოლო გზების შესახებ თამამად შემიძლია ვსთქვა, ყურადღებას არ აქცევს სრულებით, რადგანაც ძალზე გაფუჭებულია ჩვენი მუდამ საჭირო გზები, რომელზედაც ცოტა წვიმის დროს ზღაპრული რაშითაც ვერ გაივლის ადამიანი... ხსენებულმა მამასახლისმა „ნადზირატელის“ წინაშე პირობა დასდო გავაკეთებო, ხოლო მუშებს სხვა სოფლის გზებზე გზავნის.

ყველა გლეხები ერთხმად გაიძახიან: ვინა ხართ მოწყალე, გაგვაშორეთ აქედან მწერალი, მაგის შიშით სახლში ქალები ვერ მიგვიტიებია, კარებს გვიმტვრევს, ქვის სროლით გვაშინებსო და სხ. მაგას მოსეც-კი სჯობიაო და სხ.

ხოლო რაც შეეხება ჩემს წინა წერილში აღნიშნულს მწერლის მოქმედებას, ოქმი უკვე წარადგინა ადგილობრივმა ბოქაულმა (თუ არ სტყუვდება მომჩივანი) სადაც ჯერ იყო და ამის შესახებ მხოლოდ ის ითქმება: გამქცევიცა და და მიმდევიც ორივე ღმერთს ეხვეწებოდაო.

და თუ ვერც ეს შეამჩნია ბ-ნმა ჯორბენაძემ, აწი უკეთ დააკვირდეს და თუ მე ტყუილებს ვსწერ, მან მართალი დასწეროს და მე ესეც მეყოფა.

ვ. ჩიბათელი

*** **ბათომი.** **აღებ-მიცემობის საქმე.** ბათომში დღეს აღებ-მიცემობა მეტად დაცემულია, უწინდებური მოძრაობა და ფულების ტრიალი აღარ არის, ვაჭრები მეტად დაღონებულნი არიან. არც ქარხნების მუშები არიან, რა თქმა უნდა, კარგს დღეში. კვირაში ორსამ დღეს მუშაობენ და დანარჩენს დროს-კი უსაქმოდ ატარებენ, ასე რომ სულს იპურებენ საწყლები, თორემ მოსაგებს საიდან ნახავენ!

— **ერთი ცუდი ზნე.** ზოგიერთ ბათომელ ქართველებს სხვათა შორის ერთი გლახა ზნე სჭირთ! აქ ვისაც აქვს კაი გაწყობილი ჩოხა-ახალოხი, ზედ დიდი ბრტყელი ხანჯალი და მასთან რევოლვერი, მათ პირველი ადგილი უჭირავთ თავის ტოლ-ამხანაგებში, ისინი მარტო იმაზე ოცნებობენ, თუ რა ნაირათ ვიქეიფოთ, რა ნაირათ გავატაროთ დრო და სხ. გამარჯობა რომ უთხრათ ამ დალოცვილებს და ძალიან მოწიწებით სალამი მისცეთ, გინებათ ეჩვენებათ და სულ უბრალო რამე საქმეზე იელვებს ხოლმე ხანჯალი ჰაერში და ხშირად რევოლვერიც ბანს მისცემს.

ლანჩხუთელი ვანო

*** **დ. აბაშა. მადლობის შეწირვა.** პატივცემულ ქ. ელპიდა თოფურიძის ადგილობრივ საეკკლესიო სამრევლო სკოლის სასარგებლოდ 12 ივლისს სუჯუნაში გამართულ წარმოდგენიდან („ხანუმა“) შემოვიდა ასი მანეთი და რამოდენიმე კაპ. აქედან ყოველივე ხარჯს გარდა დარჩა ნაღდი ფული 43 მან. რომელიც გამგემ წარმოდგენისამ გადმომცა მე სკოლისთვის საკუთარ შენობის შესაძენად. უღრმეს მადლობას უცხადებთ პირველად ქ. გაბუნია-ცაგარლისას, რომელმაც გარდა იმისა, რომ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე შემდეგისთვისაც აღგვითქვა ასეთი მონაწილეობა და ყოველგვარი დახმარება. ამასთანავე მადლობას ვწირავთ ქ. ელპიდა თოფურიძეს, გამგეს წარმოდგენისას, რომელსაც მუდამ გული შესტკივა მისი სოფლის სამრევლო სკოლაზე და მუდამ მოწადინებულია თვისის მეცადინეობით და შრომით წინ წასწიოს იგი. მადლობას ვუძღვნით აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა წარმოდგენაში და არ დაიშურეს საზოგადო საკეთილოსაქმისთვის თავიანთი ძალ-ღონე; უკანასკნელად მადლობას ვსწირავთ ყველა იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც ინებეს დასწრება ამ წარმოდგენაზე.

მღვდელი აბაშის წმ. გიორგის ეკკლესიისა რაჟდენ ჭალაგანიძე

## რედაქციისაგან

**სოფ. შეკვში.** ვარდისუბნელს. თქვენი წერილის დაბეჭდვა სამწუხაროთ, მოუხერხებელია.

**სოფ. კარატაპაში.** მეთვალყურეს. თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდება.

**გურიაში.** მეცამეტეს. თქვენი წერილი «გურიის ავ-კარგი» ვერ დაიბეჭდება.

# თეატრის მატიანე

**დ. ოჩამჩირე** (აფხაზეთი). **ქართულ-რუსული წარმოდგენა.** 2 აგვისტოს, ორი ღარიბი მოწაფის სასარგებლოდ დადგმულ იქმნა სცენის მოყვარეთა მიერ ქართულ ენაზე „ბაიყუში“ ა. ცაგარლის კომ. და „უჩინ-მაჩინის ქუდი“ გ. ერისთავისა. რუსულ ენაზე—«Не въ свои сами не садись» და „Сорокъ тысячъ“ თითო მოქმედებიანი კომედიები. მონაწილეობა მიიღეს ქქ-ნ მაკრინე და მაშო თურქიებმა, რეზნიკოვებისამ და ბარკალაიამ. ბბ. აბაშიძემ, ჩაჩავამ, მახარაძემ, კერესელიძემ, კაჭარავამ და მდივანმა. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა. ძალიან კარგად შესრულა „ბაიყუში“ ელისაბედის როლი ქ-ნ მაკრინე თურქიამ, ხოლო თალიკოს როლში მაშო თურქიაც მშვენიერი იყო. კ. აბაშიძეც კარგი იყო რევაზის როლში, მხოლოდ ა. ჩაჩავამ გასპარას როლში და გ. მახარაძემ კიკოლიკას როლში სიცილით დახოცა საზოგადოება. საერთოდ წარმოდგენამ ძალიან მწყობრად ჩაიარა და ნასიამოვნები საზოგადოება ღამის 2 საათზე დაიშალა. სცენის მოწყობა იკისრა აგენტმა პ. პ. ზაიცევმა და მასწავლებელმა ნ. ლადარიამ, ხოლო ნება-რთვის აღება და გამგეობა კ. გვასალიამ, რისთვისაც ზემო-ჩამოთვლილი პირნი დიდი მადლობის ღირსნი არიან და განსაკუთრებით პ. პ. ზაიცევი, რომელმაც არაფერი დაიშურა წარმოდგენის კარგად ჩატარებისათვის. საზოგადოება ბლომად დაესწრო. შემოსავალი 70 მ. დარჩა.

მაყურებელი

**ოზურგეთი.** ამა წლის 27 ივნისს, ქ. ოზურგეთში ქ-ნ ეკატერინე გურიელის თაოსნობით წარმოდგენილ იქმნა: „შეშლილის წერილები“ გოგოლისა, „დედა და შვილი“ ი. ჭავჭავაძისა, „ნათელა“ აკაკისა და გუნიას „საშოვნელს ნაშოვნი სჯობია“, წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. შემოსავალი გადადებული იყო შემოქმედის უფასო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. ნაღდი ფული სამკითხველოს ორმოცდა ცხრა მანეთი დარჩა, რომელიც თითონ ქ-ნ ეკ. გურიელმა ჩააბარა წიგნთ-საცავის ხაზინადარს. დი მადლობის ღირსია ქ. ეკატერინე, რომელიც ყოველთვის ასე თავ-გამოდებით მეთაურობს ყველა ნაირ ხალხის საკეთილდღეოთ მიმართულ საქმეს, სადაც-კი ხელი მიუწვდება მის მეცადინეობას. აგრეთვე არ შეგვიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნნოთ, რომ ქ-ნი ეკატერინე ერთად ერთი წარმომადგენელია აქაური მაღალ-წოდების ყმაწვილი ქალების საზოგადოებისა, რომელიც არ ზოგავს თავის შრომას და ჯაფას არაფერ სიმპატიურ საქმეზედ სასურველია, რომ არა მარტო ოზურგეთისა, არამედ სხვა ახლო-მახლო ქალაქებისა, დაბებისა და სოფლების ყმაწვილ ქალებს მიებაძოსთ ამ პატივცემულ პირისათვის. დიდი მადლობის ღირსია აგრეთვე ბ. ივანე მაქსიმეს ძე ჩხატარაშვილი, რომლის დიდი ხნის მეცადინეობის წყალობით ზემოხსენებულმა წარმოდგენამ მოსალოდნელზე უკეთ ჩაიარა.

„ego“

**დ. დილიჟანი** (განჯის გუბ.) **ქართულ-რუსული წარმოდგენა.** 22 ივლისს ადგილობრივმა სცენის მოყვარეთ და ზოგიერთ მოაგარაკეთა დახმარებით ქართულ-რუსული წარმოდგენა გამართეს. ითამაშეს ქართულად „არც იქით, არც აქეთ“ ვოდ. ვ. გუნიასი. რუსულად „Демонъ“ დრამატ. ეტიუდი მ. ლერმონტოვისა და „Въ штатскомъ“, ვოდ. ერთ მოქ. კონდელბერგისა. როგორც ქართულში, ისე რუსულში მშვენივრად ჩაატარეს ყველამ თავისი როლები, თვითეულს მათგანს აშკარად ეტყობოდა, რომ ყოველი ღონისძიება ეხმარათ როლის კარგად შესასწავლად. მეორე განყოფილებას დივერტისმენტი შეადგენდა. ამ განყოფილებაში სცენის მოყვარეთ წაიკითხეს ქართულ-რუსული ლექსები და სცენები. საუცხოვოდ შესრულა ორი ქართული სოლო-ბაიათი ქ. ციხისთვიშვილის ასულმა „ახ მთვარევ, მთვარევ“ და „ეგ შენი გრძნობით სიყვარულით“... როგორც მომღერალი, აგრეთვე ყველა მოთამაშენი საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა. დივერტისმენტი ლეკურის თამაშით დაამთავრეს. ხალხი ბლომად დაესწრო და ღამის პირველ საათზედ ნასიამოვნები დაიშალა. შემოსავალი პირველ გიმნაზიაში კურს დამთავრებული თომა ანანიაშვილის სასარგებლოდ იყო გადადებული, რომელიც უნივერსიტეტში აგრძელებს სწავლას. წმინდა შემოსავალი დარჩა 73 მან. და გაეგზავნა „ივერიის“ რედაქციას გადასაცემად კუთვნილებისამებრ.

ჩვენს დაბაში წარმოდგენები ყოველ ზაფხულს იმართება, მაგრამ ქართულ პიესებს იმ გვარებს არჩევენ, რომ ქალების როლები ან სულ არ იყოს შიგ, ან არადა სულ რამდენიმე სიტყვიანი იყოს, რადგან ეს უკანასკნელები სცენისათვის სამთლით საძებნი არიან აქ.

3 აგვისტოს წარმოადგინეს მეორე სულ რუსულად კიდევ საქველ-მოქმედო მიზნით. ეს მეორე წარმოდგენა საგარაკოთ მოსულმა ახალგაზდობამ გამართა.

წელს სხვათა შორის, სააგარაკოთ ბაქოდგან სომხების ცნობილი არტისტი აბელიანი არის აქ

თავის დასით და რამდენიმე წარმოდგენა სომხურ ენაზედაც ჰქონდათ გამართული. ბ. აბელიანს ძრიელ ბევრი პიესები აქვს ქართულიდგან გადმოთარგმნილი სომხურ ენაზე. სხვათა შორის, სომხურათ ითამაშეს „ხანუმა" ა. ცაგარლისა.

მოსგარაკენი წელს უფრო კმაყოფილნი წელენ აქედგან. ურიგო არ იქნებოდა უაზრო სალეკვო სადამოების მაგიერად აქაური სცენის მოყვარეთა მეცადინეობით კიდევ რამდენიმე წარმოდგენა გამართულიყო ამ ზაფხულს.

დროებით აქაური

## სხვა-და-სხვა ამბები

—

560 ვერსტი ვაგონ ქვეშ. რუს. გაზ. „ტერსკი ვედომოსტში" დაბეჭდილია შემდეგი: 17 მაისთავეს მოსკოვის რკინის გზის დეპოს სარაიაში მოხელეებმა შენიშვნენ პეტერბურგიდგან მოსულ მატარებელს № 15 და ამ შენიშვის დროს ერთ ვაგონ ქვეშ ნახეს მამანარე ყმაწვილი, რომელიც გამოაღვიძეს და დაუწყეს კითხვა, სადან ყოფილიყო, ყმაწვილი გამოდგებოდა თუ არა, მიიხედ-მოიხედა და შეეშინდა კიდეც; მაგრამ ცოტა ხანს უკან გული შეიმაგრა და ყველას უამბო თავისი თავ-გადასავალი. იგი აღმოჩნდა იოროსლავის გუბერნიის მცხოვრები, გვარად გორბუნოვი კორნიშოვი 12 წლისა. ორი წლის წინად ბიძას ეს ყმაწვილი წაეყვანა სოფლიდან პეტერბურგში და იქ მიებარებინა ერთ ხარაზთან ხელობის შესასწავლად. მაგრამ, რადგანაც ხარაზი ამ ყმაწვილს ძლიერ ცუდად ექცეოდა, მან მოინდომა სამშობლოში გაქცევა, ეს სურვილი ასრულდა კიდეც: თავის ტოლ-ამხანაგთან ერთად რკინის გზის დიანდაგზე მოსკოვისკენ გამოშურა, ამ მოგზაურებს გზაში ერთი აბაზი მეტი არა ჰქონდათ-რა. ესე და ამ გვარად პეტერბურგიდან 45 ვერსტი გაიარეს, ბოლოს დაიქანცნენ და დასასვენებლად რკინის გზის სადგურთან მივიდნენ. ფეხით წამოსვლის ღონე აღარ ჰქონდათ და რკინის გზით ბარგით მოინდომეს წამოსვლა. ამ დროს ამ სადგურზე პეტერბურგიდან მოვიდა მატარებელი № 15. ამით ისარგებლეს გამოქცეულებმა და ვაგონებში ადგილის საპოვნელად შევიდნენ. შიგნით რომ ისეთი ადგილი ვერა იპოვეს-რა, ერთი მათგანი, კორნიშოვი, ვაგონ ქვეშ შეძვრა და რესსორებთან ახლო ფიცარზე ჩამოჯდა, მეორე კი სხვა ვაგონებთან მივიდა ადგილის საპოვნელად. დაჰკრეს ზარი და მატარებელი დაიძრა. სად დაიკარგა ამხანაგი კორნიშოვმა არ იცის. მატარებელი რომ დაიძრა, კორნიშოვს ძლიერ შეეშინდა, მაგრამ მერე და მერე ვაგონების ხმაურობას მიეჩვია და ისე აღარ ეშინოდა. ბოლოს ფიცარზე გაწვა და მიეძინა. რაც გზა იყო ყმაწვილი არც ერთხელ არ გამომძვრალა ვაგონიდან; იცოდა, რომ დამიჭერენო. როდესაც მატარებელი მოსკოვს მიუახლოვდა, ყმაწვილს ისე მაგრა ჩასძინებოდა, რომ მოსკოვთან მატარებლის მიახლოვება ვერც კი გაეგო. თურმე მაშინაც კი ეძინა, როდესაც ვაგონები დაცლისამებრ, დეპოს სარაიაში გასასინჯავად დასდგეს. თავისს მოგზაურობაზე ყმაწვილი დიდი სიამოვნებით ლაპარაკობს და ამასთანავე უმატებს, რომ ვაგონ ქვეშ მოგზაურობა ძლიერ სასიამოვნოა, მხოლოდ დიდი მტვერი დგებაო. მოსკოვის პოლიცია ამ ყმაწვილს თავისს მშობლებს ჩააბარებს.

პავლე მოსულიშვილი

## წვრილი ამბავი

—

ისპანიის ზარალი ომისაგან. ძვირად, მეტის-მეტად ძვირად დაუჯდა ისპანიას ამერიკასთან ომი: მისი ზარალი უდრის ორ მილიარდ ფულის და 100,000 კაცის დაკარგვას. ასეთი უბედურება ჯერ არ შეხვედრია ქვეყნის დასაბამიდან არც ერთ ხალხს.

—

გვირგვინები ბისმარკის კუბოზე. როგორც „გამბურგერ გაზეთს" აქვს გამოანგარიშებული ბისმარკის კუბოზე დაუდვიათ სხვა და სხვა პირთ თუ დაწესებულებათ ათი-ათასი სამოცდა-თოთხმეტი (10.074).

ღირებულობა ბისმარკის ორდენებისა და მენდლებისა. გამოანგარიშებულია, რომ ბისმარკის ყველა ორდენები და მენდლები ღირს ნახევარი მილიონი მანათი. ქვეყნის ყველა სახელმწიფოების მენდლები და ორდენები ჰქონდა „რკინის კანცლერს".

## განცხადებანი

**КЪ ВОПРОСУ**
**О ПОДНЯТІИ ОБРАЗОВАНІЯ СРЕДИ ГРУЗИНСКАГО ДВОРЯНСТВА**

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს წიგნს და ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპიკად. მყიდველთ უნდა მიჰმართონ ხსენებულ მაღაზიას. (6—4)

ახლად გახსნილი
**სტამბა**
**„ცნობის ფურცლისა"**
ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121
✦✦ სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია ✦✦
ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად.
სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას, მსურველნი მიმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნებართვის აღებას და სხ.
ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ფაქიზისა და ქაღებისათვის იაფად და მშვენიერად.

ВНОВЬ ОТКРЫТОЙ
**ТИПОГРАФІИ**
**„Цнобисъ Пурцели"**
В. Л. ГУНІА
Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.
Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европейскихъ языкахъ.
**Дешевизна, изящество и быстрота исполненія**

**ურბენი L'urbain**
საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანი პირობებით ავადმყოფობის თუ შეუძლებლობის დროისათვის.
დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.
კონტორა ამიერ-კავკასიის, ამიერ-კასპიის, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება ტფილისში, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლ. ტელეფონი № 543.
მთავარი რწმუნებული ბერატ გერასიმეს მე ტერ-მათევოსოვი ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს მე ტერ-მათევოსოვი.
ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.
Контора страховаго общ. „УРБЭНЪ"
Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543. (50—21)

**КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,**
состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:
1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) Коммерческой ариѳметики (банковыя и торговыя операціи),
3) Ариѳметики на счетахъ,
4) Коммерческой экономіи,
5) Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.
преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ**, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел. хоз. кредита и препод. школы садоводства.
Плата за весь курсъ 60 руб.
**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.
**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**
Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**
(100—35)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Августа 1898г. სტ. „ცნ. ფურც." (გ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი გ. გუნია